# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 17

20 13 წ. "16" 09

ქ.თბილისი

**შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202192643) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

| ბაკალავრიატი | | |
|---|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება მიმართულების /დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით** | **მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით** | **კრედიტების რაოდენობა** |
| საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (აზერბაიჯანულენოვანი) | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში - 07-0701 | 240 |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე